№ 513. ოთხშაბათი, 22 აპრილი. 1896—1898 ოთხშაბათი, 22 აპრილი, **№ 531.**

რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 3 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 4 კაპ.
Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ"
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363

ამით ეუწყება ქართველ ინტელიგენციას, რომ
ხუთშაბათს, 23 აპრილს
წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ეკკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი ქ. მინსკში გარდაცვალებულის
გიორგი ქოჩაქიძის ჭალადიდელის
სულის მოსახსენებლად. (5 5)

27 Апрѣля 1898 года, въ 2 часа дня, въ помѣщеніе Тифлисскаго Окружнаго Суда, имѣетъ быть засѣданіе Кавказскаго Юридическаго Общества *по случаю 25-тилѣтія со дня учрежденія Общества.*

Программа засѣданія:

1) Рѣчъ Предсѣдателя Общества **Ѳ. А Быкова** *по случаю 25-тилѣтія существованія Общества.*
2) Сообщеніе Секретаря Общества **А. С. Френкеля:** *»Краткая Исторія дѣятельности Общества за 1873—1898 годы«.*
3) Разные административные вопросы.

Согласно § 17 Устава въ засѣданіе Общества допускаются и постороннія лица.
(3 – 2)

„ალმოსავლეთის მაღაზია"
იოსებ მერკვილაძისა
ლორის-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახ. № 4, სემინარიის პირდაპირ.
ხელ-ახლად მივიღეთ საუცხოვო: იმერული, მეგრული, დიგორული და ლეკური **შალები, საკაბეებათ** და **სახოხეებათ.** აქვეა **ნაბდები ქალისა** და **კაცისა,** ჩაბალახები, ქამარ-ხანჯალი, მრავალი სხვა-და-სხვა **დანები, თუშური ნაბდის ქუდები** და სხვა სამკაული.
მაღაზიას აქვს
სამავალითო ქართული (იმერული) ცხენისამოსის სიმკერვალო
ფასი ყოველიფერზე ზომიერი და დაკლებულია. (20 –13)

აუარებელი რიცხვი
საკერავი მაშინებისა
ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაოდ ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის.
პირველ ხარისხოვანი და საგანგებო
ველოსიპედები
(თვით-მავალნი)
ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან
ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით
✦ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება ✦
ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი დ მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა
ცენტრალი საწყობი
ს. პ. პავლოვისა
და ამხ.
ტფილისში
ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი 349
Торговый домъ
С. П. Павлова и К-о
Телефонъ 349
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правосл. Семин.
Богатѣйшій выборъ
Швейныхъ машинъ
и
Велосипедовъ
(100 –17)

ახლად გახსნილი
სლავიანის მორთული ოთახები
განქის სობორის სახლებში, ალექსანდრეს ბაღის ახლოს, შუაბაზარში, ახლოს ყველა დაწესებულებასთან
„სლავიანსკი ნომრები"
ყოველის მხრით მორთული, სუფთა, წმინდა და გაწყობილია როგორც ოჯახისათვის, აგრეთვე უცოლ-შვილოთათვის.
ფასი დღე და ღამე 40 კ.-დან 3 მანათამდე
თვიურად 10 მან.-დან 50 მანათამდე
ამავე ნომრებში შეიძლება გაიმართოს დიდი ნადიმები, ვახშმები, ქორწილები და სხვა-და-სხვა წვეულებანი.
შეიძლება აგრეთვე სადილ-ვახშმის შეკვეთა.
„Славянскія меблированныя комнаты"
Старопочтовая ул. близъ Александр. сада, въ домѣ Ванкск. собора.
(30—23) პატივისმცემელი დამატრა ხუნდაძე.

✦ მევენახეთა საყურადღებოდ ✦
ვერმორელის აპარატები
(ვაზის სასხურებელი)
ადგილობრივ გაკეთებული და გაუმჯობესებული
გთხოვთ მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება:
ჩემ გაკეთებულ აპარატებზე ამოჭრილია შემდეგი წარწერა:
Механическое Водопроводное Заведеніе
С. И. Лазарева
მეხანიკური ქარხანა ს. ი. ლაზარაშვილისა
ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია
ჩვენ მიერ გაკეთებული აპარატები უფრო ბურჯიანი და გამძლეა, ვიდრე საზღვარ-გარეთელი, რაშიაც ვსთხოვ ყველას დარწმუნდნენ.
მსურველნი მიჰმართავენ: Тифлисъ, Сергіевская ул. д. Кетхудова № 9. (10 —3)

გამოვიდა და იყიდება
წ.-კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხან. მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან-შატრიანისა
თარგმანი **ივ. მაჭავარიანისა**
ნაწილი პირველი: საერო კრება.
ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი
ფასი თითო ნაწილისა **სამი აბაზი.**
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური.
—
აქვე იყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები:
ბრჭყალები,
3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კ.
ივდითი,
ტრაგედ. 5 მოქმ. ჯიაკომეტისა, ფასი 30 კ.
ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა.
(30—11)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ – დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის Dr **ф. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

გამოვიდა დ იყიდება
„ცნ. ფურც."-ს გამოცემა № 2
თავ. ილ. ჭავჭავაძე
(წერილი ხალხისათვის)
ნადიკვრელისა
ფასი **2** კაპ.
ასი ცალი იყიდება 1 მ. 30 კ.
ორასი — — 2 მ. 20 კ.
სამასი — — 3 მ.
მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის" რედაქციას.

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხეჩატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში. ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე სქალებო გიმნ. მოწაფენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ.—3 საათამდე
—
Пансіонъ и училище
Учительницы
Н. Дидебулидзе
Тифлисъ, Михайловская ул. № 146
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для ученицъ гимназіи. Обученіе музыкѣ.
(150—136)

ახალი ამბავი

—

* * * საინტერესო წიგნი. ამ ჟამად „ცნობის ფურცლის" სტამბაში იბეჭდება ახალი წიგნაკი რუსულ ენაზე: «Къ вопросу о поднятіи уровня образованія среди грузинскаго дворянства», დაწერილი ი. ს. გოგებაშვილის მიერ.

* * * გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „მუხამბადის" გამგეობა აცხადებს, რომ ამ ამხანაგობის წევრთა ამა წლის 1-ლ მა-

რტის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად კონსტანტინე თავართქილაძე აღარ ითვლება ამხანაგობის წარმომადგენლად და მოსამსახურე პირად ამ წლის 1-ლ მარტიდან, ხოლო მის მაგივრად ამხანაგობის წარმომადგენელად არჩეულია სოლომონ ალექსანდრეს ძე ჰეიშვილი, რომელსაც უნდა მიმართოს ყველამ, ვისაც ამხანაგობასთან რაიმე საქმე აქვს.

⁂ **ნასწავლი ქართველი ქალი.** პარიზის სამკურნალო უნივერსიტეტში სწავლა დაუმთავრებია ერთ ახალგაზდა ქართველ ქალს მარიამ ბაქრაძეს და დაუწერია დისერტაცია ამ შინაარსით: „Pied-Bot-paralytique“ (სიდამბლის გამო მომხდარი სიკოჭლე და მისი წამლობა). ეს დისერტაცია ცალკე წიგნად არის დაბეჭდილი პარიზში. („ივ.“)

⁂ **სახლი შეშლილთათვის.** აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ აშენებულ იქმნეს კავკასიაში ცენტრალი სახლი შეშლილთათვის, რომელთანაც უნდა არსებობდეს ახალშენი 300 ავადმყოფისათვის.

⁂ **წლიური აქტი** ტფილისის 1-ლ გიმნაზიაში მოჰხდება 26 აპრილს. კურს-დასამთავრებელი ეგზამენები იმავე გიმნაზიაში დაიწყება 2 მაისს.

⁂ **ქუთაისის სახაზინო პალატა.** 1897 წლ. 22 დეკემბერს უმაღლესად დამტკიცებულის აზრის თანახმად ამ წლის 1-ლ მაისიდან გაიხსნება ქუთაისის სახაზინო პალატა ქუთაისის გუბერნიისათვის და სუხუმისა, ბათომისა და ართვინის ოლქთათვის; ამასთანავე 1-ლ მაისიდან ტფილისის სახაზინო პალატის უწყებას აღარ შეეხება ქუთაისის გუბერნიის საქმეები.

⁂ **ელექტრონის რკინის გზა.** განზრახვა აქვთ ნოვოროსიისკიდან სოხუმამდე გაიყვანონ ელექტრონის რკინის გზა. ადგილების გამოკვლევა მინდობილი აქვთ ყირიმის ინჟენრებს, რომლებსაც შესწავლილი აქვთ მთებში მუშაობის წესი.

⁂ **ბრძოლა ფილოქსერის წინააღმდეგ.** მიწად-მოქმედების სამინისტრომ, როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, გადასდვა წელს კავკასიაში ფილოქსერასთან და ვაზის სხვა ავადმყოფობასთან საბრძოლველად 146,000 მან., რომელიც დაიხარჯება მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ტ. ს. მედვედევის ნება-რთვით.

⁂ **სოხუმი. ავადმყოფობა სატუსაღოში.** აქაურის სატუსაღოს უსუფთაობა და ვიწროობა ხელს უწყობს სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობის გაჩენას. დღეს სატუსაღოს საავადმყოფოში, სადაც ავადმყოფთათვის მხოლოდ რვა ტახტი სდგას, ადგილი აღარ არის, და ავადმყოფნი წვანან ჯან-საღ ტუსაღებთან ერთათ. სახადით ავადმყოფთაც-კი არა აქვთ მიჩენილი განსაკუთრებული საწოლი. ამასთანავე ავადმყოფნი მოკლებულნი არიან ჯეროვან ექიმობას. თუმცა სატუსაღოს საკუთარი ექიმი ჰყავს, მაგრამ ეს ექიმი ეწევა ათას-გვარ სხვა თანამდებობასაც და ამის გამო ავადმყოფ ტუსაღთათვის ძალიან ნაკლებად სცალიან ხოლმე.

⁂ **მოზდოკი. სიმშილობა.** წელს აქაურებს ვერაფერი აღდგომა დაუდგათ: ჩრდილოეთ კავკასიაში სიმშილის ამბავი მგონია მკითხველებმაც უნდა იცოდნენ. ჯერ ისევ შემოდგომაზედ შემოაკლდათ აქაურებს პური და თავის დროზედ ვერ იზრუნეს, რომ საიდანმე მოეტანათ. ამიტომ ზედ აღდგომა დღეს ისეთი საშინელი უშოვრობა იყო პურისა, რომ აქაურს მეპურესათვის ერთი მანეთი მიგეცათ გირვანქაში ვერსად იშოვიდით. მხოლოდ ერთს მეპურეს აღმოუჩნდა ცოტაოდენი პური, მაგრამ ერთს წუთს იმდენი ხალხი მოაწყდა და ძალაზედ დაიტაცა, რომ საბრალოს თავისთვინაც კი აღარაფერი დარჩა.

გ. ლუდუშაური

⁂ **ს. ქსოვრისი** (ქართლი). **დაწინაურება სოფლისა.** ჩვენს სოფელს თან და თან სიცოცხლე ეტყობა და სწავლა განათლების საქმე წინ მიდის. ამას წინეთ აქ ხელმოწერით ლატარია-ალეგრი გაიმართა, საიდგანაც შემოვიდა 150 მანეთი. ამ ფულით წიგნები ვიყიდეთ და შინაური ბიბლიოთეკა გვაქვს. მაგრამ საუბედუროთ წიგნების კითხვა ყველას არ შეუძლიან წერა-კითხვის უცოდინარობის გამო, რისგამოც განვიძრახეთ სასოფლო სკოლის დაარსება. მაგრამ, რადგანაც ჯერ სკოლას შეძლება არა აქვს, ამიტომ აქაურმა მედავითნემ თითონ დაუწყო ბავშვებს უფასოდ სწავლება. შეაგროვა 15—20 პატარა ბავშვები და ისე მუყაითად და გულმოდგინედ ასწავლის, რომ ამ ცოტა ხანში მშვენივრათ ასწავლა წერა-კითხვა და ანგარიში.

ბ. რატიშვილი

⁂ **ს. ტყაჩირი** (იმერეთი) **ყაჩაღის მოკვლა.** ამ სოფელში იმალებოდა ციმბირიდგან გამოპარული აგიაშვილი, რომელსაც ერთს ღამეს თავს დაესხნენ ბოქაული ნ. ჯაიანი რამდენისამე ყაზახით. აგიაშვილმა თუმცა ბევრი წინააღმდეგობა გაუწია ბოქაულს, მაგრამ შემდეგ მაინც მოკლულ იქმნა. („ივ“.)

⁂ **ფოთი. ბერძნების ფაცაფუცი.** აქ ბერძნები თავიანთის ნოქრებით დიდს ფაცი-ფუცში არიან; გაიგეს რა, რომ სიმინდს კარგი ბედი მოელის, ამ თავიდგანვე შეუდგნენ მეცადინეობას, რომ რამე ნაირად, შემთხვევით თუ ისე, მუქთად ჩაიგდონ ხელში საწყალი ხალხის ნაშრომი. საჭიროა ჩვენმა მემამულეებმა „ყურნი იქონიონ სასმენად“, რომ სიმინდია ერთად-ერთი სახსარი იმერეთისა და გურია-სამეგრელოისა, რომლებიც წრეულს კარგს ბედს მოელის და მუქთად ნუ ჩაუგდებენ ხელში ჩარჩებს...

— **საკვირაო სკოლა.** მოგეხსენებათ, აქ საკვირაო სკოლა არსებობს, მაგრამ იმას ისე გაურბიან აქაურები, როგორც ურიები ღორის ხორცს; მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ქართულს არ ასწავლიან!..

ხევე—

⁂ **ჭიათურა. რკინის გზის საქონლის საწყობ მუშების თავ-გასულობა.** დიდ გაჭირვებაში არიან საწყალი მოვაჭრენი, იმ მუშების გამო, რომლებიც მუდამ უწესოებას სჩადიან და ატყუებენ ხალხს. მაგალითად, მიიღო ვაჭარმა, ან სხვა ვინმემ საქონელი, რომელიც რკინის გზის მუშებმა უნდა გადმოიღონ ვაგონიდგან, რაშიაც რკინის გზის მმართველობისაგან დადგენილ ქირის მაგიერ, თავიანთ დადგენილს, ორჯერ მეტს ქირას ღებულობენ. ეს კიდევ არაფერი. თუ რომელიმეს გამოუცდელობა და სიხამე შეუტყეს, იმას ხომ ორჯერ მეტსაც არ სჯერდებიან, რის გამოც საჭიროა, რომ თვით რკინის გზის მმართველობამ ყურადღება მიაქციოს და გამოაკრას განცხადება საწყობის კარებზე, როგორც სხვა სადგურებზეა, რათა ყველამ იცოდეს, თუ რამდენი ერგებათ მუშებს და კვლავ აღარ მოსტყუვდნენ.

ნაპერწკალი

⁂ **დ. ზესტაფონი. სამიკიტნოები.** რკინის გზის სადგურის პირდაპირ არსებობს ერთი ბუშმერაზი სამიკიტნო, რომელიც, როგორც ამბობენ, ზესტაფონის დაარსებიდანვე იმყოფება. ეს სამიკიტნო სულ ხუთი საჟენით არც კი არის დაშორებული რკინის გზაზედ, რის გამოც ვაჭრობა აღკრძალული უნდა ჰქონდეს კანონით, მაგრამ არაფერს ასეთს არა ვხედავთ. აქ გამუდმებით გაისმის ლოთი ბაშობის ხმაურობა და აყალმაყალი. რომელ საათზე გინდათ მობრძანდეთ ამ სამიკიტნოში, მუდამ ნახავთ მელამურა-მოქეიფე-მოთამაშე ვაჟბატონებს.

— **სამკითხველოს გამო.** ძლივს ეღირსა ამდენი მეცადინეობით და ჰაპან წყვეტის შემდეგ ზესტაფონლებს საჯარო წიგნთ საცავ სამკითხველოს ნება-რთვა. დიდი სიხარულით მიეგება ამას ყველანი და, როგორც გავიგე, აქაური სცენის მოყვარენი ამ დღეებში ბიბლიოთეკის სასარგებლოდ წარმოდგენასაც აპირებენო. ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

თ—ლი

⁂ **სტეფანწმინდა. ჩვენა გაჭირვება.** თუმცა ამ ზამთარ ჩვენ მოხევეებს ისეთი საშოვარი არა ჰქონდათ, როგორიც აქამდისინა, მაგრამ კავკავში პურის სიაფის დროს კიდევ იოლათ მიჰყავთ ხოლმე თავიანთი ოჯახი. ამ მარტის თვემდის სიმინდი ფასობდა ერთი საწყაო 30 კაპეიკიდან 35 ამდის და თივა 20 კ. ეხლა კი სიმინდი 40 კაპეიკიდამ 50 მდის, და თივაც ფუთი 50 კაპ. თუ რომ ასეთი სიძვირე დაერთობოდა შემოდგომიდანვე ჩვენ მოხევეებსა, თქვენი მტერია ჩვენი საქმე იქმნებოდა. ამასთანავე დიდათ გაჭირვება მიაყენა ჩვენ ისეც დაჩაგრულ მთიელ მოხევეთ, დარიალში დაარსებულმა „კარატინმა“ რომელიც სასტიკად ეკიდება სამხედრო გზაზედ მოსიარულე მგზავრებს, აქამდისინ არ ატანდნენ თივას, მატყლს, ძროხის ტყავს, და ხორცსა. ახლ ამ მძიმე და აუტანელ ტვირთს არც-კი დააჯერეს მგზავრები და თებერვლიდგან დაიწყეს ხელ ახლა ქალამნების ფეხიდგან ხდა და ფეხშიშველების გაშვება. მარტის უკანასკნელ რიცხვებში კავკავისაკენ სამუშაოდ მიმდინარ მთიელებისათვის წაერთმიათ ფეხზედ ნაცვამი ქალამნები, და ხბოს ტყავის დიდი ხნის ნახმარი გუდები, რითაც ზურგზედ ეკიდათ თავიანთი საგზალი ქერის და სიმინდის პურები, თუმცა ბევრსაც ეხვეწებოდნენ საცოდავი მთიულები მაგრამ ვერაფერსაც გამხდარიყვნენ და ლარსის ფოსტის სადგურში ჩამოვიდნენ სამი მათგანი, თუმცა ქართველ კაცს თხოვნა ჩვეულებათ არა აქვს და სირცხვილადაც მიაჩნია, მაგრამ მეტი სიცივით შეწუხებულნი იძულებულნი გამხდარიყვნენ ძველი ფეხსაცმელები ეთხოვნათ იქ მოსამსახურე ქართველებისთვის; უკეთუ ფოსტის უფროსს გოგოლაშვილს, და ბურდულს არ ეჩუქებინათ ფეხსაცმელები, უნდა ისევ შინისკენ დაბრუნებულიყვნენ საცოდავი მთიულები. ტირილის კილოთიღა ლაპარაკობდნენ, „ძალა აღმართის მხვნელიაო“ შინ დავბრუნდებოდით, მაგრამ ჯალაბობა შიმშილით გაგვიწყდება, თუ აქედან არა ვიმუშავეთრა და არ დავანაყრეთო; კავკავისაკენ მოგზაურობა აგვეკრძალება, თუ ესრე იქმნა დაარსებული წესი, ზამთარში ფეხშიშველმა ადამიანმა როგორ უნდა გაძლოს? მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მთიულეთი და ჩვენი ხევი კავკავიდან იდგავს სულსა, როგორათაც პურით, ისე შეშითაცა. და თუ შინაურული ქალამანი არ ჩაიცვა, ან შინიდგან თივა არ წაიღო სამგზავროზედა, სად შეუძლიან ღარიბ-ღატაკ ხალხს ან ჩექმა-კალოშით სიარული, და ან ათ შაურად გზაში თივის ყიდვა? რომელთაც თვისი ტანჯვა ვაებით მთელ ზამთარში თოვლ-ნამქერში მუშაობით ერთი ურემი სამინდის საფასო ძლივს შეუგროვებია.

კარგი იქმნებოდა ჩვენს ხევს თავს შაედვას და თხოვნა მიერთმიოსთ სადაც ჯერ არს, რომ ასეთი გაჭირვება თავიდგან აეცილებინათ.

ი. დუდუშაური

◆

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა წლიური კრება

სხდომა 20 აპრილს

დღეს ცოტა მოემატა ხალხი. სხდომის დაწყებამდე აქა-იქ ლაპარაკია ახალ კანდიდატებზე. სხვათა შორის ასახელებენ ფ. ყაზბეგს. 12 საათზე სხდომა დაიწყო.

თავ. ი. შალიკაშვილი. არ შეიძლება კრებას მოჰხსენდეს, რისთვის გაემგზავრა ბ. მამაცაშვილი პეტერბურგში, ან რა მოგვიტანა იქიდგან?

თავმჯდომარეს თხოვნით, დირექტორი მამაცაშვილი ჰკითხულობს თავისს მოხსენებას გამგეობასთან. მოხსენებაში აღნიშნულია, თუ რა და რა საქმეები მიანდვეს გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა ბ. მამაცაშვილს. პირველი საგანი —წარმომადგენლობა ბანკებში და ამის-და გვარად საზოგადო კრებების წეს-რიგის შეცვლა უკვე იმის ჩასვლამდის გადაწყვეტილი ყოფილა სახელმწიფო რჩევისაგან. მეორე საგანი — მოკლე ვადიანი სესხის გაცემა აგარაკ [illegible] მესამე— კონვერსია 5 % გირავნობის ფურცლებისა 4½ % და მეოთხეც—ქალაქის მამულების დაფასებაში ცვლილების შემოღება—ყოველივე შეწყნარებულ იქმნა სამინისტროსაგან, როგორც სჩანს იმ დეპეშიდან, რომელიც ბ. მამაცაშვილს მიუღია თბილისში დაბრუნების შემდეგ.

თავ. შალიკაშვილი. მაშ ბატონს მამაცაშვილს ძალიან დაუგვიანებია წასვლა, თუ-კი უმთავრესი საგანი ჩვენის ბანკისათვის, წარმომადგენლობის შემოღება, მაგის მისვლამდის გადაწყვიტეს იქა. რათ გაუგზავნიათ ასე გვიან? დანარჩენ საგნებზედაც მხოლოდ დეპეშით გვატყობინებს და გადაწყვეტით-კი არა ვიცით-რა...

თავ. ი. ჭავჭავაძე. ოფიციალურად ჯერ არც სახელმწიფო რჩევის გადაწყვეტილება ვიცით და არც სხვა საგნებზე. ჩვენ მხოლოდ ცნობა მოგვივიდა, რომ ჩვენი შუამდგომლობა, გარდა წარმომადგენლობისა, შეწყნარებულია, რაც შეეხება საყვედურს ბ. მამაცაშვილი გვიან წავიდაო, ეგ უსაფუძვლოა, რადგან, ჩემის აზრით, ადრეც რომ წასულიყო, სახელმწიფო რჩევაში იმას არ მიიწვევდნენ საქმის გადასაწყვეტათ.

თავ. შალიკაშვილი. ჩვენ გამოგვიცხადებია ჩვენი მწუხარება, რომ ასე ცოტა გაუკეთებია ბ. მამაცაშვილს.

ბ-ნ მამაცაშვილს ჰსურს პასუხი გასცეს, მაგრამ თავმჯდომარე საგანს გამორკვეულად სცნობს და არ აძლევს სიტყვის ნებას... და მორიგ საქმეებს შეუდგებიან.

უგ. თავ. მ. გრუზინსკი. სანამ ჯამაგირის აღრიცხვაზე და ხარჯებზე მოხსენდებოდეს საზოგადო კრებას, ჩემის აზრით, უნდა მოხსენდეს საპენსიო კასის დაფუძნების შესახებ, რადგან ორივე საგანს ერთმანეთში დამოკიდებულება აქვს. კითხულობენ საპენსიო კასსის დაფუძნებაზე ბანკში მოსამსახურეთათვის. გამგეობა და კომიტეტი ითხოვენ საზოგადო კრებამ მისცეს ამ კასსას ათი წლის განმავლობაში ბანკის შემოსავლიდამ 5000 მან. ყოველ-წლივ.

თავ. შალიკაშვილი. რადგან ჩვენი ბანკის მოქმედება დღეს-ხვალ ძირითადათ უნდა შეიცვალოს და ჩვენ დამფუძნებელთ არავითარი უფლებანი გვექნება, ნუ გადავსწყვეტთ ამ საქმეს და ნუ მოვახვევთ თავზე მომავალს ბანკის წევრებს. გადავდევათ იმათ წარუდგინოს ეს პროექტი და წესდებაც შეადგინეთ.

თავ. მაყაშვილი. (წევრი კომიტეტისა) წესდება მზათ არის და არავის არ წარედგინება, რადგან წესდება მხოლოდ იმათ შეეხება, ვისთვისაც ეს კასსა დაიფუძნება, თქვენ მხოლოდ უნდა გადასწყვიტოთ შეწევნა ფულით.

თავ. ალ. ს. ჩოლოყაშვილი. არას გზით არ ვეთანხმები თავ. შალიკაშვილს. 84 წლიდამ არსებობს კანონი, რომლის ძალით ფინანსთა მინისტრს ნება აქვს საურთიერთო კრედიტის ბანკებში შემოიღოს წარმომადგენელთა კრებები, მაგრამ მთელს რუსეთში მხოლოდ ორ ბა-

ნკში შემოიღო. რათ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს ბანკებში მინისტრმა ეს კანონი ასე აჩქარებით შემოიღოს. ჯერ სახელმწიფო რჩევა როდის გადასცემს თავისს გადაწყვეტილებას მინისტრს, მერე მინისტრი ჩვენ როდის შეგვატყობინებს, ვინ იცის. ამას გარდა, ამ კანონის დაარსებაში და შემოღებაში ჩვენ კიდევ გვექნება სახსარი ხმა ამოვიღოთ, ვითხოვოთ, ვიშუამდგომლოთ და სხვა. ვინ იცის, როდის დაბოლოვდება ეს საქმე და ამის გამო თუ რაიმე სასიკეთო გვაქვს გასაკეთებელი, რათ გადავდვათ და არ გავაკეთოთ...

თავმჯდომარე სცნობს საგანს გამორკვეულად და დაეკითხება კრებას, მივიღოთ ეს ხარჯი თუ არა, ე. ი. ათის წლის განმავლობაში ვაძლიოთ საპენსიო კასსას ხუთასხუთასი თუმანი თუ არა?

ზოგიერთი წევრნი თხოულობენ კენჭის ყრას.

თავ. მიქელაძე. რადგან ეს საგანი ხარჯს შეეხება, მე თანახმა ვარ დაფარული კენჭის ყრა მოხდეს ცოტა შესვენების შემდეგ.

ნახევარი საათის შემდეგ ბაასი ხელ-ახლა იწყება.

ბ. ხუდადოვი. ჩემის აზრით, კენჭის ყრა ამ საგანზე სანატრელს შედეგს არ მოიტანს. კარგათ არ არის საქმე გამორკვეული. მოსაწონ წინადადებას ნუ ავჩქარდებით და უარ-ვყოფთ. დაბეჭდეთ წესდება, გააცანით ამ წესდებას საზოგადოება და მერე გადავსწყვიტოთ.

თავმჯდ. თავ. მიქელაძე. წესდების განხილვა თქვენი საქმე არ არის... ეს მხოლოდ კასსის დამფუძნებელთ შეეხება. თქვენ გთხოვენ შემწეობას, ფულის გამოღებას და ეს უნდა გადასწყვიტოთ.

თავ. შალიკაშვილი. მე თუ ფულს მთხოვენ, უნდა ვიცოდე, სად მიდის ეს ფული—გაგვაგებინეთ. თუ კარგი საქმეა, იქნება 10,000 მან. მივსცეთ.

თავ. ი. ჭავჭავაძე. სრულიად კანონიერი მოთხოვნილებაა. წესდება მზათ არის და რატომ არ გავაცნოთ კრება?

თავმდ. თავ. მიქელაძე. ამ კრების საგანს არ შეეხება წესდების წაკითხვა. მე შემიძლიან ამ გვარათ შევცვალო გადასაწყვეტი საკითხი „დავბეჭდოთ საპენსიო კასსის წესდება, დავურიგოთ წევრებს და შემდეგ კრებას მოვახსენოთ. თუ ეგრე ვსურთ, გთხოვთ აბრძანდეთ:

თითქმის ყველანი წარმოდგებიან. —შეიქმნება ხმაურობა, ზოგიერთნი იძახიან, რომ ეს ასე არ იქმნება, უნდა დღესვე გადავსწყვიტოთ, მაგრამ თავმჯდომარე სწყვეტს ამ საგანზე ბაასს.

შემდეგ კრებას მოხსენდება გამგეობის და კომიტეტის აზრი ბაქოში აგენტურის დაარსებაზე. ეს აგენტურა თხოულობს წელიწადში 3500 მან. ხარჯს.

ა. ამირაგოვი. ეს საგანი მაშინ გადავსწყვიტოთ, როდესაც მეოთხე დირექტორზე გვექნება სჯა.

თავ. ჰ. ბატონიშვილი. ეგ კითხვა არავითარ კითხვას არ შეეხება. დირექტორებზე ლაპარაკი ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან მაგ საგანზე იყოს თუ არ იყოს მეოთხე გამგეობის წევრი, არავითარი კითხვა არ აღძრულა და არც ჩვენი წესდება გვაძლევს ნებას. თუ ვისმეს ნებავდა მაგ საგანზე ბაასი, უნდა ვადაზედ ქაღალდი შემოეტანა კომიტეტში და ჩვენც კრებას მოვახსენებდით...

თავ. ი. ჭავჭავაძე. ძალიან ადვილად შეიძლება, რომ მეოთხე დირექტორი ბაქოში გავგზავნოთ, იქნება დამფასებელიც იქ ვიყოლიოთ ყოველთვის... საჭირო იქნება სახლის დაქირავება, მწერლები და სხვა ხარჯები, ამისათვის ვთხოულობთ 3,500 მან.

ბ. ხუდადოვი. თუ კი აქამდის არა ყოფილა აგენტურა ბაქოში —ახლა სრულებით არ არის საჭირო, მით უმეტეს, რომ მალე ბაქოში საქალაქო ბანკი იხსნება და მამულებს იქ გადაიტანენ...

თავ. ა. ჩოლოყაშვილი. მაშასადამე ჩვენი ბანკი უნდა დავხუროთ, რადგან ტფილისში საქალაქო ბანკი არსებობს.

თავ. ი. ჭავჭავაძე. სწორედ იმიტომ დავინახეთ საჭიროდ აგენტურის დაარსება, რადგანაც ბაქოში თავისი ბანკს აარსებენ. უნდა ვიყოლიოთ იქ მოხერხებული კაცი, რომელმაც მთხოვნელებს გაუადვილოს საქმე, აუხსნას, თხოვნა მიიღოს და სხვა და სხვ.

თავ. ი. ანდრონიკაშვილი. ჩემის აზრით ხარჯთ-აღრიცხვიდამ გამოვაკლოთ მეოთხე დირექტორის ჯამაგირის რაოდენობა 200 მან. და ასე გადავსწყვიტოთ, მეოთხე დირექტორმა მიიღოს აგენტის ჯამაგირი 200 მან. და 1500 იკმარებს სახლის ქირისა და მწერლებისათვის.

ბ. ამირაგოვი.. თუ მეოთხე დირექტორი იქნება, აგენტურა არ არის საჭირო, თუ აგენტურას დაარსებთ, მაშინ მეოთხე დირექტორი არ იქნება საჭირო. დაგვიანების გამო ამ კითხვის გადაწყვეტა მეორე დღემდე გადაიდვა. მეხუთე საათზე კრება დაიშალა.

◆ ◆

თელავის თავად-აზნაურთა კრება.

დასასრული *)

ერობის შესახებ. უკანასკნელად განიხილა კრებამ საკითხი ერობის შემოღებაზე. თავმჯდომარემ კრებას მოახსენა, რომ ერობის შემოღებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი ტფილისის საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრებაზე 1 ივნისს 1897 წ. კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც ეს საგანი ყოველ მხრივ უნდა განეხილა და შეედგინა მოხსენება. კომისიამ მოხსენების შედგენა დაავალა ბ. გ. დ. ჟურულს, რომლისაგან შედგენილი მოხსენება განიხილა, მიიღო და წიგნაკებად დაბეჭდილი დაარიგა. მეც მივიღე რამდენიმე ცალი ამ მოხსენებისა და დავარიგე, რომ ყველა გასცნობოდა, და თავისი აზრი გამოეთქვა. ვისაც რა სათქმელი გაქვთ სთქვითო. შემდეგ მიუბრუნდა ერთს დამწრეთაგანს და სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა ამ საგანზე. დამწრემ სთქვა: „ერობის შემოღებაზე თვით კომისიისაგან სამი საკითხია დაყენებული: პირველი, შეუძლიან ჩვენს საზოგადოებას, თანამედროვე კულტურულ მდგომარეობაში მყოფს ისარგებლოს ერობის შემოღებითა, თუ არა? მეორე—რა სახით უნდა იქმნას შემოღებული ერობა და მესამე—რა უნდა შეიცვალოს საერობო დებულებაში ადგილობრივი პირობათა მიხედვით?

30 წლის წინათ ჩვენში აღიძრა სურვილი ერობის შემოღებაზე შუამდგომლობისა. თუ მაშინ ხალხის მომზადება საეჭვოდ ჩაითვლებოდა, ახლა ოცდა-ათი წლის შემდეგ ამისთანა ეჭვს სრულიად არა აქვს ადგილი. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქართველისათვის საარჩევნო უფლება უცნობი წეს-წყობილება არ არის. ვინც ქართველების წარსული ცხოვრების ისტორიას დაჰკვირებია, დამერწმუნება, რომ საარჩევანო უფლება ვრცელი ფარგლით მოქმედობდა როგორც თავად-აზნაურობაში, აგრეთვე სამღვდელოებასა და გლეხობაში. ამიტომ საერობო დაწესებულებანი სრულიად უცნობლად და ახალ ხილად არ უნდა ჩაითვალოს. ამასთან ამ 30 წ. რავდენი თაობა გამოიზარდა სკოლებში, თუმცა შეუცდომელ რიცხვს ვერ წარმოვადგენ, მაგრამ დაახლოვებით სჯა კი შეიძლება. თელავის მაზრაში ერთი სასულიერო სასწავლებელია, რომელიც მუდამ წელიწადს არა ნაკლებ ხუთსა ჰგზავნის აქ კურს-შესრულებულებს სასულიერო, ან სხვა საშუალო სასწავლებელში, რომელთაგან სამი მაინც ათავებს საშუალო სასწავლებელს და სხვები უმაღლეს კლასებიდან გამოდიან. ამნაირად 30 წ. მარტო ეს სასწავლაბელი 90 ნასწავლ პირს გაურევდა საზოგადოებაში. ამათგან ბევრი უმაღლესად განათლებულიც იქნებოდა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საერო სასწავლებლებიც ,ბევრია და იქ შვილების აღმზრდელნიც ჩვენი მაზრიდან ერთი ათად მეტნი არიან, შეიძლება ვსთქვათ, რომ ოთხჯერ-ხუთჯერ იმოდენა რიცხვი საერო სასწავლებლებში მიიღებდა საშუალო და უმაღლეს განათლებას. ამოდენა განათლებულ პირთა საზოგადოებაში გარევა უეჭველია ჯეროვან ზეგავლენას იქონიებდა მცხოვრებელთ გონებით და ზნეობით განვითარებაზე.

თუ-კი ქალაქის მცხოვრებელთ მიენიჭათ საქალაქო დებულება და ამისათვის ისინი მომზადებულად ითვლებოდნენ ამ 25 წლის წინათ და დღესაც ითვლებიან, ნუ თუ ჩვენ მათთან შედარებით უკეთესად მომზადებულად არ უნდა ჩაგვთვალონ? დაბეჯითებით შეიძლება ვსთქვათ, რომ უმრავლესობა ქალაქების ხმოსანთა დღესაც, არა თუ 25 წლის წინათ, ბევრად ჩამოუვარდება გონებითი და ზნეობითი განვითარებით საშუალო პირთ თავად-აზნაურობიდან. ერთი სიტყვით, მოუმზადებლობაზე ლაპარაკი სრულიად უსაფუძვლოა. ჩვენ საერობო წყობილობისათვის წინათაც მომზადებულნი ვიყავით და ახლა უფრო ვართ, მაგრამ ეს არა კმარა, საჭიროა ვიცოდეთ სასარგებლოა საერობო დაწესებულება ჩვენთვის თუ საზარალო? ამის გადასაწყვეტად უნდა ვიცოდეთ პირველად რა შედგენილობა ექმნება და მით რა ხასიათი საერობო დაწესებულებას და მეორედ რა საქმე ექმნება, ექვემდებარება ამავე დაწესებულებას?

ეჭვს გარეშეა, რომ შემოღებული იქმნება 12 ივნისის 1890 წ. დებულება. ამ დებულებით 100 ხმოსანში 57 უნდა იყოს თავად-აზნაურთაგანი 30-ზე ცოტა ნაკლები გლეხი და 13 ცოტათი მეტი მოქალაქე. კომისიის მოსაზრეით 100 ხმოსანში $47^{1}/_{2}$ უნდა იყოს თავად-აზნაური, 35 გლეხი და $17^{1}/_{2}$ მოქალაქე. რომელი ზომაც უნდა ავიღოთ და მივატოლოთ ტფილისის გუბერნიის ხმოსანთა საზოგადო რიცხვს სულ ორასი ხმოსანი იქნება ტფილისის გუბერნიაში. გამოვა, რომ საერობო დაწესებულება იქმნება მომეტებულად ქართული დაწესებულება, ანუ შემდგარი იქმნება მომეტებულად ქართველებისაგან, რაც დიდად საგულისხმიეროა, თუ მივიღებთ მხედველობაში ქალაქების არჩევანების გადაჭარბებულ ნაციონალისტობასა. მანამ ეს უკანასკნელი ჩვენი მეტოქეთა ხელში საბრძოლველ იარაღად ითვლება, ჩვენც წესისამებრ ყველა პატიოსანი ბრძოლისა იმავე იარაღით უნდა აღვიჭურვოთ. შედგენილობა თვით საგუბერნიო წარმომადგენელთა კრებისაც, რომელსაც ეძლევა ნება მაზრებისათვის სავალდებულო დადგენილებისა, ასეთივე დარჩება, მაშ შედგენილობისა და ხასიათის მხრივ საერობო დაწესებულება საწინააღმდეგოს არას გვეუბნება, წინააღმდეგ თანამედროვე პირობების გამო იგი სასურველია.

რაც შეეხება საერობო დაწესებულებათა საქმეს, უნდა მოგახსენოთ, რომ ადმინისტრაციის ხელიდან საერობო დაწესებულებათა გამგეობაში გადადის: 1) გამგეობა საგუბერნიო და სამაზრო შემოსავალ-გასავლისა და ქონება-სიმდიდრისა; 2) მზრუნველობა სახალხო სურსათისა, მოუსავლობის დროისათვის უზრუნველ-ყოფა-მცხოვრებელთა; 3) გამგეობა გზებისა და ხიდებისა; 4) მცხოვრებელთა სამეურნეო განვითარება, სამაგალითო სადგურებით და სხვით სამეურნეო ცოდნის ხალხში გავრცელება; 5) ხალხის ჯანმთელობისათვის მზრუნველობა; 6) ბრძოლა მოსავლის მტერთან; 7) გონებითი და ზნეობითი განვითარება ხალხისა.

საზოგადოდ საერობო შემოსავალი ორ ნაირია: 1) შემოსავალი, რომელიც გროვდება სახაზინო სალაროში იმ ხარჯის დასაფარავად, რაც სჭირდება სახელმწიფოს საგლეხო სამშვიდობო და სასამართლო დაწესებულებათა დასაფარავად 2) შემოსავალი სახელმწიფო და საგუბერნიო საბეგრო მოთხოვნილების დასაფარავად.

პირველ გვარი შემოსავალის წყარო არის: 1) სავაჭრო მოწმობების გარდასახადი; 2) საქალაქო უძრავ მამულების გადასახადი; 3) გადასახადი იმ პირთაგან, რომელნიც ფოსტის ფულს არ იხდიან 4) 2% გადასახადი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებიდამ, რომლებიც ქალაქ გარეთ არის. მეორე გვარი შემოსავლის წყაროდ ითვლება: 1) გადასახადი გილდის მოწმობებიდამ; 2) შემოსავალი საქველ-მოქმედო დაწესებულებიდამ; 3) გადასახადი ტრაქტირებიდამ და 4) კომლეური გადასახადი გლეხებისა. ყველა ამ რვა გვარი გადასახადიდამ თავად-აზნაურობა იღებს მონაწილეობას პირველ რიგის შემოსავლის მესამე და მეოთხე გადასახადში. აქ არის მოქცეული მიწა-წყლის და წისქვილების, თუ ქარხნების გადასახადი. სამიწა-წყლო გადასახადი დღეს $3^{1}/_{2}$ კაპ. დესეტინაზედ, მაგრამ უკვე გადაწყვეტილივითა აქვს მთავრობას ეს გადასახადი 7 კაპ. გახადოს. ამ გადასახადის გადიდება ერობის შემოღება შემოუღებლობაზედ არ არის დამოკიდებული. უერობოდაც გადიდდება. როგორცა ვსთქვი ერობის შემოღებამ იქმნება ამ გადასახადის კიდევ გადიდება მოინდომოს, მაგრამ ამისი არ უნდა შეშინდეს მემამულე თავად-აზნაურობას, რადგანაც საერობო დაწესებულება უეჭველად განავითარებს სამეურნეო კულტურას, რითაც შემოსავალი უეჭველად იმატებს და რომ მომატებული შემოსავლის 2-3 % გადასახადად გაეცეს საწუხარო კი არ არის, სასიამოვნო და სასარგებლოა.

პირველი გვარი შემოსავალი რომ არ მივიღოთ მხედველობაში, რადგანაც ხაზინას ეკუთვნის თითქმის სრულიად, მეორე გვარი შემოსავლისა იხარჯება საერობოდ დაწესებულების ხელთა სავარაუდო შემოსავალი ტფილისის გუბერნიისა უდრის 600-700 ათასამდე მანეთს.

ბევრს ერობიან გუბერნიას ამაზედ ნაკლები შემოსავალი აქვს და საქმე-კი ერთი-ათად და ერთიასად უკეთესად აქვს მოწყობილი. საზოგადო ანგარიშიდამ სჩანს, რომ ერობას მოკლებულ გუბერნიებში 100 მცხოვრებლებზედ 10-15 საჟენი ნაკეთები გზა მოდის ან ერთ ჩორსო ვერსზედ 2-4 საჟენი მაშინ, როდესაც ერობიანს გუბერნიაში 100 მცხოვრებელზედ 40 საჟენამდის მოდის და ჩორსო ვერსზედ 12-16 საჟ. ნაკეთები გზა მოდის. აგრეთვეა მცხოვრებელთა ჯან-მრთელობაზედ მზრუნველობა: ერობას მოკლებულ გუბერნიებში 100 მცხოვრებლიდგან 2-3 % სარგებლობს ექიმის შემწეობით, ერობიან გუბერნიაში კი 100 მცხოვრებლიდამ 50-60 % სარგებლობას ექიმის შემწეობითა. თელავის მაზრაში რომ 40 ათასი მცხოვრებელი ჩავთვალოთ, ახლა საექიმო შემწეობით სარგებლობს 800—1200 სული, მაშინ როდესაც ერობა რომ იყოს შემოღებული, 40 ათასიდამ 24 ათასამდე ისარგებლებდა. მაშ ახლა უექიმოთ რჩება, 19200—22800 ავათმყოფი. დღეს არავინ ზრუნავს ხალხში სამეურნო ცოდნის გასავრცელებლად, თუმცა ამისათვის სადღაც კარგა ფული ეხარჯება მთავრობას, მაშინ-კი ყოველი გროში საქმეში იქმნება დახარჯული და ყოველი უწესოება სახალხოდ გამომჟღავნებული. ამავე მდგომარეობაშია სახალხო განათლება, რომელზედაც ძაან მცირე ნაწილი იხარჯება საერო შემოსავლიდამ. რაკი ერობითი დაწესებულება თვის შემოსავალს თავისავე ხელით დაჰხარჯავს, ყოველი ღონით ეცდება საქმე გაიუმჯობესოს. შეცდო-

---

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 512.

მები შეიძლება მასაც მოუვიდეს, მაგრამ ისეთი არა, როგორც დღეს არის შესაძლებელი, რადგანაც ერობითი დაწესებულება ეცდება „პური მეპურეს დააკრევინოს და არა მექოშესა“, როგორც აწ ხდება ნება-უნებურად.

თუ ნათქვამს ერთს კონად შევკრავთ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ერობის შემოღება ჩვენთვის სასარგებლო იქმნება.

ახლა საჭიროა მივაქციოთ ყურადღება მეორე და მესამე კითხვას, ე. ი. რა სახით და რის გამოკლებით უნდა იქმნას შემოღებული ერობა? თქმა არ უნდა, როგორც მთელს იმპერიაში, აგრეთვე ჩვენში იქმნება შემოღებული, თუ ინებებს მთავრობა, დებულება 1890 წლისა. ამ დებულებით ხმოსანს თავად-აზნაურთაგანს უნდა ჰქონდეს 125 დესეტინა მამული. კომისიის აზრით ეს რიცხვი შეიძლება განახევრდეს და 65 დესეტინაზე ჩამოვიდეს, იმ მოსაზრებით, რომ სათავად-აზნაურო არჩევანისათვის რუსეთში 500 დესიატინაა ცენზად და ჩვეთვის მთავრობიდამ 250 დესიატინად არის შემცირებული. თუ ადგილობრივ პირობებს მივიღებთ სახეში, და თუ გვაქვს სურვილი, რომ ხმოსნებათ არჩევის დროს ამორჩევა შეგვეძლოს მრავალთაგან ცოტასი, საჭიროა ეს კომისიისაგან დასახელებული 65 დეს. 35 დეს, შეიცვალოს. თუ მთავრობა ორჯელ დაპატარავებას ინებებს, რასაკვირველია, უტყუარი ადგილობრივი პირობების მიხედვით, ოთხჯერ დაპატარავებაზედაც დათანხმდება. თქვენს ყურადღებას მივაქცევ ამ ცვილილებას და რადგანაც თქვენ უკეთ მოგეხსენებათ ეს გარემოება, ვიდრე სხვას ვისმე. საჭიროა თუ ჩქარებლივ განიხილოთ ეს საგანი და გადასწყვიტოთ. მე აქ გავათავებ ჩემს საუბარს და მოვისმენ თქვენს გადაწყვეტილებას.“

კრებამ ერთ ხმად გადასწყვიტა ერობის შემოღებაზედ შუამდგომლობა, ცენზის შესახებაც დასთნხმდა 35 დესეტინაზედ.

არც ამ გადაწყვეტილებას შეუდგინეს ოქმი.

ნადიკვრელი

◆

რედაქციისაგან

ოჩამჩირეში თქვენი საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება.

ბათომში რ. კ—ჩეს. რაც დავბეჭდეთ თქვენის წერილიდგან, იმაზე მეტის დაბეჭდვა მოუხერხებელი გახლავთ.

ბაქოში ნ. დ—ძეს. თქვენს წერილს ვერა ვბეჭდავთ, რადგან იმ გვარს საგანს ეხება, რომლის გამოქვეყნება გაზეთის საშუალებით შეუძლებელია. უეჭველია, გამომძიებელი სასტიკ ყურადღებას მიაქცევს და ღირსეულად დასჯის ბიჭის მაწვალებელთ და სასტუმროს პატრონსაც.

ქუთაისში ისევ-ისავარ. თქვენი წერილების დაბეჭდვა მოუხერხებლად მიგვაჩნია.

ზესტაფონი. იამანიძეს. არ დაიბეჭდება.

გორდი, გ—თე თქვენი წერილი მარხვის შესახებ არ დაიბეჭდება

ჯვარცმა ყია—შვილს. არ დაიბეჭდება.

ალ. გ—შვილს. თქვენი წერილის დაბეჭდვა მოუხერხებლად მიგვაჩნია.

ლანჩხუთი. ვ. მ—ძე. არ დაიბეჭდება.

ოზურგეთი. ც—ძეს. თქვენი წერილის დაბეჭდვა მოუხერხებლად მიგვაჩნია.

◆

ყურ-მოკრული საუბარი

ეგზამენზე.—მოჰყევ გოგოლის ამხანაგებთან მიწერ-მოწერის შინაარსს!

— რას მიბრძანებთ, ბ. მასწავლებელო! ნუ თუ მე ისეთ არამზადად მიგაჩნივართ, რომ სხვისი წერილების წაკითხვას ვიკადრებ? მერე კიდევ მეგობრების წერილების წაკითხვა ხომ მომაკვდინებელი ცოდვაა.

◆

სამეცნიერო ცნობა

საყრუვას მოწყობილობა აპარატი. ერთ ფრანგს, გვარად დიუსოს, ამას წინად აღმოუჩენია ისეთი აპარატი, რომლის შემწეობით თურმე ყრუ-მუნჯებს შეუძლიათ გაიგონონ და ილაპარაკონ. ამ აპარატს ჰქვია მიკროფონოგრაფი, რადგან მასში შეერთებულია ფონოგრაფი და მიკროფონი.

დოქტორმა ქელემ თურმე ფონოგრაფი გამოსცადა ყრუ-მუნჯებზე და შენიშნა, რომ ეს უკანასკნელები გრძნობენ რაღაცას, მათთვის უცნობს, ამ გრძნობას ჰხატავდნენ თავიანთი მოძრაობით, ხელების ქნევით და მიმოხვრით. თვალები მათ ენთებათ, ტუჩებს აცმაცუნებენ, პირზე ღიმილი უქრით და სრულიად ახალი გრძნობის გავლენით თითქმის ხელ-ახლავ იბადებიან. ყრუ-მუნჯი ბავშვები, რომლებიც ჩვეულებრივ დაღვრემილად და ჩუმად იყვნენ, მოცოცხლდებიან ხოლმე და ცდილობენ სხვა ხმებიც გაიგონონ და არ სჯერდებიან მარტო ფონოგრაფიდან მოსმენილ ხმებს: ისინი დარბიან ოთახებში, კედლებზე და კარებზე ხელებსა სცემენ, არახუნებენ ყოველ გვარ საგანს, რაცკი მათ ხელში ჩაუვარდებათ და ყოველსავე ამას იმიტომ სჩადიან, რომ უნდათ ხელ მეორედ გაიგონონ ისეთი ხმები, რომლებმაც მათზე ღრმა და სრულიად ახალი შთაბეჭდილება მოახდინეს. მიკრო-ფონოგრაფის შემწეობით ენამეტყველობა თავის-თავად შეეთვისება ყრუ მუნჯს ხმების შთაბეჭდილების ზეგავლენით ისე, როგორც ბალღი სწავლობს ლაპარაკს ადამიანთა შორის ლაპარაკის გაგონებით.

◆

სამეურნეო ცნობანი

ოთახის მცენარეთა მორწყვა. ოთახის მცენარე უთუოდ უნდა მორწყათ ხოლმე ნელ თბილი წყლით არა მარტო ზამთრობით, არამედ ზაფხულობითაც, თუ გინდათ კარგად იგვაროს. დასნეულებული და ნახევრად დამჭკნარი მცენარე თბილი წყლით მორწყვის მეოხებით, შეგიძლიანთ დაიხსნათ აუცილებელ დაღუპვისაგან.

⁂

სამკურნალო დარიგება

წითელი ქარის რჩენა. ამ ავადმყოფობას წინ უძღვის ტყავის სიწითლე, პირ დებინება, ციება, რომელიც საღამობით მწვავდება და დილით უქრება. ორი დღის შემდეგ ტყავი ხმება, სივდება, წითლდება და ტკივილი თან და თან ემატება. ამას შეიძლება თან მოჰყვეს ანთება, ძრიელი თავის ტკივილი, ბოდვა და გათავდეს ანტონის ცეცხლით, დაჩირქებით და სხ. წითელი ქარის სარჩენად კარგია ზეთით დაზელა ტყავისა, ბამბის დადება ნატკენ ადგილზე და ფრთხილად დადება ცივი ტილოებისა, რომლებსაც ყოველ $^{1}/_{2}$ საათში ერთხელ უცვლიან. ციების წინამდეგ ხმარობენ გასაგრილებელს სასმელებს (ინგლისის სოდის ნაფხვენებს, ხილის წვენს) და თუნას წყლისა, ზეთისა და ცოტაოდენ მარილისაგან. საჭმელად თეთრი პური, ხილის საჭმელი და სხვა ადვილად მოსანელებელი საჭმლები. ყოველი ავადმყოფი მშვიდათ უნდა იყვეს. წითელი ქარი ახლად დაბადებულებს ხშირად 10 დღის შემდეგ უჩნდებათ. მუწუკების გამოყრას წინ უძღვის ხოლმე მოუსვენრობა, უძილობა, პირ-დებინება, ყაბზობა და სხვ. უმეტეს შემთხვევაში მუწუკების გამოყრა იწყება ჭიპიდგან და შესდევს ზევით. ამას ხშირად მოსდევს ჯირკვლების შესივება-დაჩირქება ან ანტონის ცეცხლი. სუფთა ჰაერი ოთახში, აბანო, და დედის კარგი რძე აგრეთვე სასტიკი სისუფთავე მხოლოდ მარტო ამათ მოაქვთ სარგებლობა. ყაბზობის დროს თუნა წყლისა და ზეთისაგან. ფაღარათობის დროს ცივი ტილოები მუცელზე, დიდი სიფრთხილით მომზადებული. სხვა საშუალება არ არის, დედა ან გამზდელი განსაკუთრებით მცენარეების საჭმლით უნდა იკვებებოდეს, ყოველ დღე იბანოს და ერიდოს აშფოთებას, აღელვებას და დარიანობას.

◆

წვრილი ამბები

ამერიკელ გაზეთების პრემიები. ერთმა ნიუ-იორკის გაზეთმა პრემიად აღუთქვა 500 დოლარი იმას, ვინც ისპანიის პირველ დროშას დაიპყრობს. მეორე გაზეთი დაჰპირდა 1000 დოლარს იმათ, რომლებიც ისპანიელ მკვლელს ვეილერს ცოცხალ ან მკვდარს წარმოადგენსო.

⁂

სხვა-და-სხვა ამბები

თეატრის სამაგალითო შემოსავალი. თეატრის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი აუარებელ შემოსავლის მაგალითი, როგორიც ჰქონდა სამეფო თეატრს მადრიდში. ამ თეატრმა გამართა წარმოდგენა, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარებოდა ჯავშნიან გემის აშენებას. რა თქმა უნდა, თეატრის უზომო შემოსავალი მხოლოდ პატრიოტულ გრძნობის აფეთქებით აიხსნება, და არა ამ თეატრის რომელიმე არტისტისაგან საზოგადოების მოხიბლვით. ადგილებისათვის იხდიდნენ ურიცხვს ფულებს, თითქო ერთმანერთს ეჯიბრებიან, აბა, ვინ უფრო ბევრს ფულს გადაიხდისო. დედოფალმა გადაიხადა ლოჟისათვის 50,000 პეზეტი და თვითეულმა მინისტრმა თავიანთი სავარძლებისათვის პარტერში გადაიხადა 5,000. ისპანიის ბანკმა რამდენიმე ადგილისათვის გადაიხადა 500,000. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი სიუხვე გამოიჩინა მარკიზმა ვილამე ჟორმა, რომელმაც ერთი ადგილისათვის პარტერში გადაიხადა 250,000. საზოგადო შემოსავალი თეატრისა უდრიდა ნახევარ მილიონს.

⁂

განცხადებანი

ბორჯომში

იძლევა ქირით და ისყიდება ორ-სართულიანი და ავეჯით მორთული

სააგარაკო სახლი

უწინ ი. ს. აბესალომოვისა, ხოლო ეხლა ქ. ტფილისისა, 5 ოთახი ქვემო სართულში და 4 ოთახი ზემოდ, მინაშენებით.

პირობების შეტყობა შეიძლება ტფილისის ქალაქის გამგეობაში. (3—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ **22** აპრილს, იმისის თანადასწრებით, ნაშუადღევის პირველ საათზე, დანიშნულია უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა ერევნის მოედანზე მყოფ ქალაქის სახლის **დუქნებისა** და **სარდაფების იჯარით გაცემისა**.

დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში ყოველ-დღე, უქმე დღეების გარდა, 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—3)

ქირავდება სამი ოთახი

ფასი თვეში 40 მან.

სამზარეულოთი და წყლით და ყოველგვარ ავეჯით და მორთულობით ოთხის თვით პირველ ენკენისთვემდე

ფრანგების ქ., ტერ-პეტრუზოვის სახლი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ცხენების იარმუკობის დებულების თანახმად, რომელიც კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ იქმნა დამტკიცებული, ამა წლის 5 მაისს ქ. ტფილისში გამართული იქნება ცხენების იარმუკა, რომელიც გასტანს 18 მაისამდის ამ დღის ჩათვლით. იარმუკა გაიმართება დიდუბეში. (3—3)

[illegible] ფაბრიკებიდან

როიალები

[illegible]

ფის-გარმონიები, სკრიპკები, იგიტარები, ფლეიტები, კლარნეტები ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкалное дело

Б. М. Мириманіана

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—8)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на

новое роскошное художественное

изданіе Ѳ. И. БУЛГАКОВА

ВЕНЕРА и АПОЛЛОНЪ

въ живописи и скульптурѣ.

(Два исконныхъ идеала красаты женской и мужской)

40 фотофравюръ in-folio

Съ наилучшихъ произведеній 35 знаменитѣйшихъ художниковъ идеальныхъ школъ греческаго искуства и эпохи возрожденія, изъ европейскихъ музеевъ.

Съ пояснительными описаніями произведеній и біографіями ихъ авторовъ

въ восьми выпускахъ.

Первый выпускъ выйдетъ 15 мая 1898 г., а остальные семь въ теченіе четырехъ слѣдующихъ мѣсяцевъ по два выпуска ежемѣсячно—1-го и 15 числа.

Цѣна только по подпискѣ 16 р., съ пересылкой—**20 р**

Подписка принимается только на 300 экземпляровъ во редакціи «Новаго журнала Иностранной Литературы» (С.-Петербургъ, Конногвардейскій бульваръ, 13 и въ книжномъ магазинѣ «Новаго Времени», (С.-Петербургъ, Невскій, 38.

Допускается разсрочка: при подпискѣ уплачивается 2 р. и при полученіи каждаго выпуска по 2 р. (послѣдний—8-й—выпускъ безплатно). Иногородніе уплачивая при подпискѣ 5 р. и при полученіи каждаго изъ первыхъ шести выпусковъ по 2 р. 50 к. и по 10 к. за наложенный платежъ (седьмой и восьмой выпуски безплатно);—благоволятъ адресозаться къ **Ф. И. Булгакову** (СПБ., Конногвардейскій бульваръ, 13).

Отдѣльно выпуски не продаются. (15—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Апрѣля 1898 г. სტამბა „ცნობის ფურცლისა“ (ვ. გუნიასი) სას. ქ. სთ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია.**